ლიტერატურული საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 2 (234) გამოცემის მე-14 წელი

1970 წლის 23 იანვარი



● ობიექტივშია თბილისი
დავით იაკობაშვილის ფოტო

● მეორე გვერდზე გამოქვეყნებული ნარკვევი „მიწისქვეშა მაგისტრალები“ მკითხველს თბილისის მეტროპოლიტენის დღევანდელ დღესა და მომავალზე მოუთხრობს.

● ალბათ გაინტერესებთ, რას წარდნენ ქართული გაზეთები 100 წლის წინათ — ამის წაკითხვა მერვე გვერდზე შეგიძლიათ.

● პარიზის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენაზე საქართველო დამოუკიდებელი ექსპოზიციით წარდგება. ამის შესახებ მკითხველებს დაწვრილებით მოუთხრობს საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე რაფიელ ელიგულაშვილი წერილში „მასპინძელია პარიზი“, რომელიც მესამე გვერდზეა მოთავსებული.

● *მიხეილ ჯავახიშვილის რვატომეული, რომლის პირველი ტომი უკვე გამოვიდა, ყველა ქართველის ბიბლიოთეკის მშვენება იქნება. თუ როდის გამოვა მიხეილ ჯავახიშვილის რვატომეული, ამაზე დაწვრილებით მოთხრობილია ჩვენი გაზეთის მეხუთე გვერდზე.*



● თუ რას ფიქრობს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე ქართული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი კახი ასათიანი, ამის შესახებ მეშვიდე გვერდზე წაიკითხავთ.



დღეს ნომერშია:

● ქართული წიგნი მსოფლიო ლიტერატურის სარბიელზე — ამ საკითხს ეძღვნება ინტერვიუ შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურული ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელთან დავით ლაშქარაძესთან, რომელიც მეხუთე გვერდზეა გამოქვეყნებული.

● ქართულ თეატრს 120 წელი შეუსრულდა. გზა, რომელიც 1849 წლის 14 იანვრიდან ჩვენმა თეატრმა დღევანდელ დღემდე განვლო, მეოთხე გვერდზე გამოქვეყნებულ მასალებშია ასახული.



ზამთარია...

ვალერიან გენგიურის ფოტო

სექტემბერში პოლონეთის ქალაქ გიდგოშში გაიმართა ძველი მუსიკისის ინტერნაციონალური ფესტივალი. მასში მონაწილეობდა ჩვენი გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი, მუსიკისმცოდნე პროფესორი ვაჟა გვახარია, რომელმაც წაიკითხა მოხსენება X-XIII საუკუნეების ქართული მუსიკალური კულტურის შესახებ. ფესტივალს ბელგიიდან შესწრებოდა ჩვენი თანამემამულე ელენე წერეთელი, რომელთანაც ვაჟა გვახარიას ხანგრძლივი საძმიანი ურთიერთობა და მიმოწერა აქვს.

ელენე წერეთელმა ბრიუსელის უნივერსიტეტის მუსიკოლოგიის განყოფილება დაასრულა და ახლა იქვე მოღვაწეობს. იგი წერს საყურადღებო გამოკვლევას ძველი ქართული და ევროპის ხალხთა პროფესიული და ხალხური პოლიფონიის მიმართების საკითხებზე. ეს გამოკვლევა მისი საკვალიფიკაციო ნაშრომი იქნება. მკვლევარს შეუკრებია საყურადღებო მასალები, მიუღია საინტერესო დასკვნები.

პროფესორმა ვაჟა გვახარიამ სთხოვა ქალბატონ ელენეს დაეთმო ნაშრომის ერთი ნაწილი ჩვენს გაზეთში გამოსაქვეყნებლად. რაზეც იგი დათანხმდა. ახლა ჩვენს ხელთ არის გამოკვლევის პირველი თავი, რომელიც ეძღვნება ძველი ევროპული მრავალხმიანობის ისტორიულ მიმოხილვას. იგი ჩვენთვის საინტერესოა თავისი მეცნიერული ღირებულებით და იმის ნიმუშიც არის, თუ თორმეტი წლის ასაკიდან სამშობლოს მოშორებული მკვლევარი (ქალბატონი ელენეს მშობლები ოცდაათიან წლებში გადასახლდნენ ბრიუსელში) როგორ წერს და აზროვნებს ქართულად. ამიტომ რედაქციამ გადაწყვიტა ეს გამოკვლევა პროფესორ ვაჟა გვახარიას რედაქციით დაბეჭდოს მცირეოდენი შემოკლებით, როგორც დედაენისა და ხალხური მუსიკალური შემოქმედების დიდი სიყვარულისა და პატივისცემის მაჩვენებელი.

კულტურა

სიმღერით დასერილი გზები

ქართული ჯინოვარსკვლავის — ნატო ვაჩნაძის იუბილესათვის ემზადებოდნენ. ერთ-ერთ რეპეტიციაზე ხუთიოდე წლის გოგონა შემოიყვანეს. დამსწრეთ უნებლიეთ გაეღიმათ მის დანახვაზე — გოგონას ძლივს მოჰყონდა უზარმაზარი გიტარა. ბავშვი პატარა სკამზე დასვეს, მან გიტარა მოიმარჯვა და გაოცებული მსმენელები უკვე პირველი აკორდებითვე მოხიბლა.

ეს გოგონა ეთერ ჭელიძე იყო...

გავიდა წლები. ეთერმა სახელი გაითქვა და მსმენელთა სიყვარული მოიპოვა. თავის უფროს დასთან — ნათელასთან ერთად ხშირად გამოდიოდა კონცერტებზე, მოსწავლეთა ოლიმპიადებზე. 1956 წელს კი 17 წლის მომღერალი საესტრადო ორკესტრში „რეროში“ მიიწვიეს, რომელსაც გიორგი გაბესკირია ხელმძღვანელობდა. შემდეგ ეთერი უტიოსოვის, რენსკის, ლიახოვის, საულსკის ორკესტრების სოლისტი ხდება. მომღერალმა ტრიუმფით მოიარა მთელი საბჭოთა კავშირი, მრავალრიცხოვან მაყურებელს გააცნო და შეაყვარა თავისი მშვენიერი შემოქმედება.

ეთერი არა მარტო საუცხოო შემსრულებელი, ბევრი კარგი სიმღერის ავტორიც არის. ქართული ესტრადის მოყვარულები იცნობენ მის ნაწარმოებებს „ლამაზს“ (აკაკის ტექსტზე), „ჩინარი“, „დამიბრუნდი“, „შენი სახე“, „ვენაცვალე მე შენს თვალებს“, „შენი თვალები ისე შავია“... ბევრი მომღერალი წარმატებით ასრულებს მის ნაწარმოებებს.

ეთერი დღესაც დიდი მონდომებით ემსახურება საყვარელ საქმეს. მასთან ყოველი შეხვედრა მაყურებელს სიამოვნებასა და სიხარულს ანიჭებს.

ზღვისპირეთი

„ბარათაშვილი“

12 იანვარს ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა უჩვეული სილამაზის დიდი ტანკერი, რომელზეც ამოტვიფრულია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. ეს საქართველოს საზღვაოსნო ფლოტილიის 28-ე ხომალდია. იგი ააგო იუგოსლავიის ქარხანა „სილიტის“ გემსაშენმა. ახალი ტანკერი ფრიად განსხვავდება ამ ტიპის ტანკერთა ადრინდელი სერიისაგან.

ახლა იუგოსლავიის გემსაშენში დასასრულს უახლოვდება კიდევ ერთი ახალი ტანკერის აგება, რომელიც „ჟუთაისის“ სახელით დასერავს ზღვებსა და ოკეანეებს.


მოკლედ

დაბა ლენტეხს კარგი სიახლე შეემატა. ამ დღეებში დამთავრდა წყალსადენის მეორე რიგი. ახლა დაბის მთელი მოსახლეობა, აგრეთვე მახლობელი სოფლის ლეჭხურას მცხოვრებლები მთლიანად უზრუნველყოფილი არიან მთის ანკარა, ცივი სასმელი წყლით.

დიდი ზეიმი ჰქონდათ ამ დღეებში სოფელ საყდრიონისა და ხევსურთსოფლის მცხოვრებლებს. ახალ ორსართულიან შენობაზე გაიკრა ფირნიში „საყდრიონის 8-წლიანი სკოლა“.

თერჯოლის რაიონის მკვიდრნი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ ახალი ტყის გაშენებისათვის. შარშან აქ 150 ჰექტარი ტყე გაშენეს. სოფელ თუზში ახალი ტყე გაშენდა 10 ჰექტარზე, რუფოთში კი 15 ჰექტარზე.

მოკლედ



თბილისში ცხოვრობდა

სერგეი ესენინის პოეზიის პატივისმცემელნი მოკრძალებით ჩერდებიან კოჯრის ქუჩაზე ერთ-ერთი სახლის ფასადზე ახლახან გამოკრულ მემორიალურ დაფასთან: „ამ სახლში 1924 წელს ცხოვრობდა გამოჩენილი რუსი პოეტი სერგეი ალექსანდრეს ძე ესენინი“.

თბილისში სერგეი ესენინი 1924 წლის შემოდგომაზე ჩამოვიდა. ეს ვიზიტი თითქმის ნახევარ წელიწადს გაგრძელდა.

ქართველი პოეტები პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე და სხვები მეგობრულად შეხვდნენ დიდად ნიჭიერ პოეტს.

ესენინს თბილისში ყოფნისას კოჯრის ქუჩაზე თხუთმეტ ნომერ სახლში უცხოვრია.

1970 წლის ოქტომბერში სრულდება 75 წლისთავი გამოჩენილი რუსი პოეტის დაბადებიდან. ესენინის პოეზიის სიყვარული ქართველმა საზოგადოებამ ამ მემორიალითაც დაადასტურა.

მოკლედ

იმრავლოს აკვნებმა!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1970 წლის 16 იანვრის ბრძანებულებით „მშრომელ დედის“ საპატიო წოდება მიანიჭა დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათ-ათი შვილი. აი ისინი, ვინც აკვნებს ამრავლებენ:

შადიე ბერიძე, ისმინაზ დავითაძე, ეთერ მახარაძე, მუკრიმა ნაგერვაძე, გული ტარიელაძე, ვალია ჭკოტუა.

პატივი და დიდება თქვენს ქალობას, ამაგდარო დედებო!

ფრანსკოლორი

მიწისქვეშა მაგისტრალები

თბილისის სტუმარს ამ უძველეს ქალაქში უპირველესად წარსულისა და აწმყოს ჰარმონია იზიდავს. თბილისელები ცდილობენ არ დაარღვიონ ეს ჰარმონია, შეინარჩუნონ ზომიერებით შემონახული ძველი კოლორიტი. ასე კარგად რომ ეხმატკბილება ახალს.

ჭიითხით ხუროთმოძღვრებსა და მშენებლებს. ისინი ერთხმად დაგიდასტურებენ. რაოდენ რთულია ახლის შენება იქ, სადაც თითოეულ ქვას თავისი ისტორია, თავისი მნიშვნელობა და ადგილი აქვს.

და მაინც ააშენეს და შეეჩვია კაცის თვალი.

ნარიყალა და ვახტანგ გორგასლის სკულპტურული ფიგურა.

ძველი მთაწმინდა და მის ფონზე თანამედროვე სასტუმრო „ივერია“.

აღმოსავლური ჭუჭანდები და ახალი ფართო გამზირები.

ეკლესიის გუმბათები და მრავალსართულიანი თანამედროვე საცხოვრებელი სახლები.

ფიქრობდნენ თუ არა ქალაქის კოლორიტზე ის მშენებლებიც, რომელთაც ამ რამდენიმე წლის წინათ ძველი ქალაქის წიაღში პირველი გვირაბის გაყვანა დაიწყეს?

რა თქმა უნდა, ფიქრობდნენ. ფიქრობდნენ და მერე აშენებდნენ, შიგ ქართულ სულსაც აქსოვდნენ.

ეს საჭუჭარი — მეტროპოლიტენის მაგისტრალები — თბილისელებმა დიდი ხანი როდია მიიღეს. იგი ერთ-ერთი ძვირფასი ნობათია, დღევანდელმა დღემ რომ უძღვნა თბილისს და კიდევ ერთხელ გამოარჩია ქალაქებს შორის.

1965 წელი...

ბა თემატურად არის გადაწყვეტილი.

სადგური „300 არაგველი“... თეთრი, ნათელი და ფართო ვესტიბიული. სიღრმეში კი ჭედური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში: ქართველ მხედრებს შუბები აღუმართავთ, თავზე კი ხამშობლოს მზე ადგათ. მზე უკვდავებას ჰპირდება გმირებს, რომელთაც მამულისათვის გაუწირავთ თავი.

და თითქოს ვიღაცის მგრგვინავი ხმაც ისმის: ჰეი, თქვენ, არაგველებო!..

„26 კომისარი“... კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლ ადამიანებს ვერაგული სიკვდილი ელით, მაგრამ იციან, რომ მათ მხარეს არის სიმართლე. მათი საქმე გაიმარჯვებს და მონოლითური ძალით შეერთებულან, მაღლა აღუმართავთ მუშტებად შეკრული ხელები.

„ლენინის მოედანი“... ამ სადგურის პროექტის ავტორს ვლადიმერ მესხიშვილს რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა — საპატიო ეროვნული პრემია.

„რუსთაველი“... შესახვლელში ქვაზე გამოკვეთილია დიდი თბილისმა პირველად გაულო მიწისქვეშეთი ცისფერ მატარებლებს.

სწრაფი, ხელსაყრელი და უსაშიშრო ტრანსპორტით ერთმანეთს დაუკავშირდა ქალაქის სხვადასხვა უბანი.

აშენდა ტექნიკური და არქიტექტურული ღირსებებით შემკული ნაგებობანი.

მეტროპოლიტენის თითოეული სადგურის სახელწოდება და არქიტექტურული გაფორმე-

თავთ მუშტებად შეკრული ხელები.

„ლენინის მოედანი“... ამ სადგურის პროექტის ავტორს ვლადიმერ მესხიშვილს რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა — საპატიო ეროვნული პრემია.

„რუსთაველი“... შესახვლელში ქვაზე გამოკვეთილია დიდი მგოსნის შთამაგონებელი სახე, მისი უკვდავი სიტყვები:

„სიყვარული აგვამაღლებს...“

„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“...

„სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“...

„მარჯანიშვილი“... სადგური გადაჰყურებს გამოჩენილი ქართველი რეჟისორის სახელობის მოედანს, ქუჩას...

„ვაგზლის მოედანი“... აქ ვხვდებით, აქედანვე ვაცილებთ

პარიზი ველის პირველი ყვავილები

პარიზი

რაფიელ ელიგულაშვილი,

საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე

პარიზი. 1961 წელი... მაშინ ამ ქალაქში პირველად მოეწყო საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა.

წლეულს 13 ივნისიდან 5 ივლისამდე პორტ-დე-ვერსალის საგამოფენო პარკის ტერიტორიაზე გაიმართება საბჭოთა კავშირის მეორე სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა, სადაც საქართველო დამოუკიდებელი ექსპოზიციით წარდგება.

გამოფენის მიზანია აჩვენოს ჩვენი ქვეყნის საექსპორტო საშუალებანი. კიდევ უფრო გაიზრდება საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის საგარეო ვაჭრობა, ეკონომიური ურთიერთობა, განმტკიცდება ამ ქვეყნების ხალხთა მეგობრობა.

როგორც ყოველთვის, გამოფენის ორგანიზატორია საქართველოს სავაჭრო პალატა, რომელმაც დღემდე საქართველოს ექსპონატები გაიტანა იზმირისა და თეირანის საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენებზე, აგრეთვე ალჟირის საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც რესპუბლიკის ექსპოზიციამ უმაღლესი ჯილდო — ოქროს დიდი medალი დაისაკუთრა.

ამ წარმატებებმა საქართველოს სამრეწველო პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე გაიტანა და ახლა 67 ქვეყანასთან გვაქვს ეკონომიური ურთიერთობა. ექსპორტზე მუშაობს 120-ზე მეტი მსხვილი საწარმო.

ვფიქრობთ, ჩვენთან მოვაჭრე ქვეყნების რიცხვი პარიზის საერთაშორისო გამოფენის შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდება. პორტ-დე-ვერსალის საგამოფენო პარკის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ექსპოზიციას დაეთმობა, ეს კი ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის, მეცნიერებისა და კულტურის დღევანდელმა დონემ განაპირობა.

საქართველოს სავაჭრო პალატა უკვე ემზადება. არქიტექტორი შოთა ყავლაშვილი მუშაობს პავილიონის გაფორმებაზე. განვიხილეთ საექსპოზიციო გეგმა, რომელიც შედგება თემატური განყოფილებებისაგან: მეცნიერება და განათლება, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, კულტურა და ეროვნული სარეწები, ჯანმრთელობის დაცვა, სპორტი და ტურიზმი, საფრანგეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთობა.

გამოფენაზე ვაჩვენებთ აგრეთვე ეროვნულ მოდებს. წარმოვადგენთ ნატურალურ ნიმუშებს, მაკეტებს, მოძრავ მოდელებს, დიაპოზიტივებს.

შევეცდებით ღირსეული მასპინძლობა გავუწიოთ დამთვალიერებლებს. მათთვის ვამზადებთ მხატვრულ ბუკლეტებს, რომლებშიც აისახება საქართველოს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, მეცნიერება და განათლება, კულტურა და ისტორია, სპორტი და ტურიზმი. სპეციალურ კინოდარბაზში ვაჩვენებთ ქართულ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს. მოვასმენინებთ ქართულ ხალხურ, საესტრადო და კლასიკურ მუსიკას.

გამოფენის ჯიხურებში გაიყიდება ქართული მხატვრული ლიტერატურა, ჩაი, სამახსოვროები.

ექსპოზიციის კულტურის განყოფილებაში ვაჩვენებთ ადრეული საუკუნეების საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთდამოკიდებულების დამამტკიცებელ დოკუმენტებს, აგრეთვე შარშან, ვანის არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნ ოქრომჭედლობისა და კოლხური კერამიკის შესანიშნავ ნიმუშებს.

ამჟამად ერთი „სიძნელის“ წინაშე ვდგავართ. არავითარი ფართობი არ გვეყოფა ჩვენი პროდუქციის გამოსაფენად, ამიტომ ვცდილობთ საუკეთესოთა შორის საუკეთესო ექსპონატები შევარჩიოთ.

კარგად ვიცით, რა დიდი პატივია ესოდენ მნიშვნელოვან გამოფენაზე დამოუკიდებელი ექსპოზიციით მონაწილეობა. ამ საქმეს, რა თქმა უნდა, აქვს ძალზე დიდი მნიშვნელობა — კიდევ უფრო გაიზრდება საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობა.

● წერილი მოსკოვიდან

ცოცხალი ყვავილები დიდი შოთას ფერხთით

„ჩემო კარგო სამშობლოვ“...

მერე თოვლის პაპამ თავისი ქურქი პირდაპირ თოვლში ისროლა, მოიძრო ბეწვის ქუდი, წვერ-ულვაშიც მიაყოლა და ყველამ დაინახა ქართულ ეროვნულ სამოსში მორთული აშოლტილი ჭაბუკი.

რეპროდუქტორებიდან მთელ მოედანს მოეფინა ვაჟკაცური და ნარნარი „ქართულის“ საცეკვაო ხმები. ყველამ ერთხმად დასცხო ტაში და ჭაბუკი ფიფქიასთან ერთად ცეკვით გაიჭრა წრეში.

თერმომეტრი მინუს 27 გრადუსს აჩვენებდა. მაგრამ ეს აღარავის ახსოვდა...

როცა მოცეკვავემ კვლავ ჩაიცვა თოვლის პაპის სამოსი, მივუახლოვდი და ვკითხე:

— რა გვარი ხარ, ყმაწვილო?

— არჩილ საყვარელაძე, გენაცვალე...

სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გამოდგა. მოსკოვში პირველ სტუდენტურ ზამთარს ატარებდა. ამ საახალწლო ღამეს ქართული სიმღერები მარტო დედაქალაქის მოედნებზე როდი გაისმოდა. მოსკოვის საუკეთესო საკონცერტო შენობაში — სვეტებიან დარბაზში მოეწყო ტრადიციული ფესტივალი — „რუსული ზამთარი“. ყოველწლიურად ამ ფესტივალზე ათასობით უცხოელი ჩამოდის. წლეულს სარეკორდო იყო მათი რიცხვი — 6 ათას კაცზე მეტი.

...სვეტებიანი დარბაზის სცენაზე იმ საღამოს გამოვიდა ზურაბ სოტკილავა. მან დაიპყრო მსმენელები სიმღერებისა და საოპერო არიების შესანიშნავი შესრულებით.

კავშირების სახლის მახლობლად კი, მანეჟის ფართო დარბაზებში მუშაობდნენ მხატვრები. აქ შევხვდი მოჭანდაკე იოსებ ქევხიშვილსა და ფერმწერ შალვა მაისურაძეს.

თუმცა უკვე გვიან იყო, სინათლე ენთო მოჭანდაკე გიორგი თოიძის სახელოსნოშიც. აქ ახალი წლის შესახვედრად მოვიდნენ სელოვანის მეგობრები, რომლებიც უსმენდნენ მასპინძლის მონაყოლს ამერიკის შეერთებულ შტატებზე. გიორგი თოიძე მეუღლესთან ერთად მხოლოდ რამდენიმე დღეა ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობიდან დაბრუნდა. მოსაყოლი ბევრი აქვს..

ახალი წლის დილა სუსხიანი გამოდგა. მოსკოველები მას აინუნშიც არ იგდებდნენ. სახლებში ბრუნდებოდნენ საახალწლო შეხვედრებიდან და იყვნენ კმაყოფილნი, ბედნიერნი.

ქალებს საჩუქრად ყვავილები მიეღოთ და ახლა ამ ყვავილებს საყვარელი მწერლების ძეგლებთან ტოვებდნენ.

როცა „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩაზე სკვერთან გავიარე, დიდი შოთას ფერხთით ნაძვის ტოტები და ცოცხალი ყვავილები ეწყო.

ნიკოლოზ სტორი,

მოსკოვი.

ფერხთით

შემოდიოდა ახალი, 1970 წელი.

დადიოდა თავისი ათასკილომეტრიანი ნაბიჯებით. ჯერ იყო და, სააბალწლო ნაძვისხის ნათურები აანთო ჩუკოტკაზე, წყნარი ოკეანის სანაპიროზე, მერე მოსკოვში დაიპირა შემობრძანება. აციმციმდნენ სადღესასწაულო ნათურები და აელვარდა ილუმინაციები ყველა გამზირსა და მოედანზე.

საზეიმოდ გაბრწყინდა ფალიაშვილის ქუჩა და ის სახლიც, სადაც საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობაა მოთავსებული.

ილია ართმელაძემ თავის კაბინეტში მოიწვია წარმომადგენლობის თანამშრომლები და ახალი წელიწადი მიულოცა.

— საახალწლო საზრუნავი ყველას გვაქვს, — თქვა მან. — და თუმცა წინ სამი დასვენების დღე მოგველის, მაინც ვფიქრობ, დღეს ორი საათით ადრე მივიდეთ სახლებში.

ეს წინადადება ყველამ ერთსულოვნად მიიღო.

ზოგიერთმა გზად „მთავარ“ გასტრონომში შეიარა — ასე ეძახიან მოსკოველები № 1 გასტრონომს გორკის ქუჩაზე.

მაღაზიის მახლობლად ათობით „პიკაპი“ იდგა, რომლებთაც ბინებზე არიგებდნენ შეკვეთილ საჩუქრებს.

— რამდენი შეკვეთა მიიღეთ თბილისიდან? — ვკითხე მაღაზიის დირექტორს.

—უნდა დავითვალო... ჩვენ რესპუბლიკებისა და ოლქების მიხედვით ვანაწარმობთ... საქართველოდან 260 შეკვეთა გვაქვს.

260 მოსკოვური ოჯახი მიიღებს საახალწლო საჩუქრებს ქართველი შეგობრებისაგან — შამპანურსა და ხიზილალას, ფორთოხალსა და მანდარინს, სხვადასხვანაირ დელიკატესს. საჩუქრებს თოვლის პაპები დაარიგებენ.

ახალი წლის ღამეს მოსკოვში ასეულობით თოვლის პაპა დადიოდა საჩუქრებით, ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ სიმაღლით თუ განსხვავდებოდნენ. ყველას ეცვა თეთრი ბეწვით გაწყობილი წითელი ქურქი, ჰქონდათ გრძელი თეთრი წვერი.

პუშკინის სახელობის მოედანზე, უზარმაზარი ნაძვისხის გარშემო, რომლის კენწეროდან თავისუფლად შეგეძლოთ შეგეხედათ მეზობელი სახლის მეოთხე სართულის სარკმელში, მხიარული ფერხული გააჩაღებინათ თოვლის პაპებსა და ფიფქიებს.

ათასკაციანი ტალღა შემოხვეოდა მსახიობებს. თოვლის პაპები მღეროდნენ და ცეკვავდნენ.

აქ გაიგონებდით ბელორუსულ სიმღერას „იცხოვრეთ მდიდრულად“, უკრაინულ „გოპაკს“, რუსულ „არყის სეს“... და უცებ ერთი თოვლის პაპა ქართულად ამღერდა:

ჩვენი ქალაქის სტუმრებს. კედელში გამოკვეთილია თასი და მახვილი — ჩვენი სტუმარმასპინძლობის სიმბოლო.

„ოქტომბერი“..., „ელექტრო-დეკო“, „დიდუბე“... ეს სადგურები ნაძალადევშია, ქალაქის სამრეწველო უბანში. აქ ლენინის სახელობის რაიონში ამზადებენ ქართულ ელმავალს, ჩარხებსა და დაზგებს, აწყობენ მუსიკალურ საკრავებს, აკეთებენ ორთქლმავლებსა და ვაგონებს, ავტომობილებს...

ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში ყოველდღიურად ათასობით მგზავრი გადაჰყავთ ცისფერ მატარებლებს.

მიწისქვეშა მაგისტრალები დღესაც მიიწევენ წინ ქალაქის სიღრმეში, მომავლის პროექტი მთელი თბილისის მოთხოვნილებას ითვალისწინებს. მეტროს პროექტს მარტო თბილისი კი არა, მთელი საქართველო იცნობს.

თბილისელები მეტრომშენებლებსაც კარგად იცნობენ.

მათზე ხშირად იწერება პრესაში.

მათ ნახავთ ტელევიზიის ეკრანებზე.

მეტრომშენებლობა ძველ ქალაქში ერთ-ერთ საპატიო პროფესიად იქცა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ მომავალი მეტროს პროექტს.

ამ სქემაზე მრავლად არის წყვეტილი ხაზი.

გაივლის ცოტა დროც და ეს წყვეტილი ხაზები გრძელ მიწისქვეშა მაგისტრალებად გადაიქცევა.

ახლა მშენებლები იმ ტრასაზე მუშაობენ, რომელიც 300 არაგველის სადგურს ნავთლუღთან დააკავშირებს. აქ იქნება სადგურები „ისანი,“ „ნავთლუღი“.

ცისფერ ექსპრესებს მოუთმენლად ელიან საბურთალოზეც.

გვირაბები მიიწევენ ვაჟა-ფშაველასა და აკაკი წერეთლის გამზირებისაკენ. ახალ სადგურებს დაერქმევა „წერეთლის გამზირი“, „პოლიტექნიკური ინსტიტუტი“, „კომკავშირული“ („ვაჟა-ფშაველა“), „დელისი“...

უფრო მოგვიანებით მეტრომშენებლები ვარკეთილის საცხოვრებელ მასივსაც მიაკითხავენ.

და ისრიალებენ მიწისქვეშა მაგისტრალებზე ცისფერი მატარებლები.


გაიხარებენ მშრომელი ადამიანები.

ჯემალ ჟურხული

● მეტრო დღეს და ხვალ.

● სადგური „ოქტომბერი“.

გონდო დადვაძის ფოტო.







● სცენა სპექტაკლიდან „სიბრძნე სიცრუისა“.

ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი

ერა მარტო ხელოვნების განვითარებაში, არამედ ეროვნული განთავისუფლებისათვის მშრომელთა პოლიტიკურ ბრძოლაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ უდიდესი როლი შეასრულა რევოლუციამდელმა ქართულმა თეატრმა, რომელსაც ილია ჭავჭავაძის მეთაურობით დრამატული საზოგადოება ხელმძღვანელობდა. ილია მამასავით დასტრიალებდა თავს ახლად ფეხადგმულ ქართულ თეატრს, რადგან კარგად იცოდა, რომ ჩვენი ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის განათლებას, სკოლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ სკოლაში ქართულ ხელოვნებას, თეატრს გარკვეული როლი ეკისრებოდა.

მაშინდელი ქართული თეატრი საკმაოდ მდიდარი იყო თარგმნილი დრამატული ნაწარმოებებით, მაგრამ ილიას ეს არ აკმაყოფილებდა. მას სურდა საკუთარი, ქართული ცხოვრებიდან აღებული ნაწარმოებები, რომლებშიც ჩვენი ხალხი თავის წარსულს, აწმყოსა და კარგ მომავალს დაინახავდა. ილია კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ისეთ მთარგმნელებს, რომელთაც გადმოსაღებად ხელოვნური ნაწარმოების თარგმნა არ შეეძლოთ: „რაკი კაცი იცლის სხვა ენიდან თხზულების გადმოღებასა და გადმოკეთებისათვის, რაკი ამაზედ მიიზიდა მისი ხალისი და რაკი ამისათვის შრომა და ჯაფა იტვირთა, რატომ იმისთანა სათარგმნელს თუ გადმოსაკეთებელს არა ჰკიდებს ხელს, რომელიც სულის მარგებელიც იყოს და ხორცისაც“.

ილია ჭავჭავაძე მწერლისაგან მოითხოვს ქართველი საზოგადოების ცხოვრების არა უბრალო აღწერას, არამედ გზების ჩვენებასაც მის გარდასაქმნელად. დრამატურგის მთავარ პრინციპადაც სწორედ ეს საკითხი მიაჩნდა.

ქართველი განმანათლებლები, პირველ რიგში კი ილია, თავგამოდებით იბრძოდნენ, რათა ქართული თეატრი ეროვნული გრძნობებისა და ეროვნული თვითშეგნების ტრიბუნად ექციათ. მათი აზრით, ქართველ ხალხს უნდა დაენახა და შეეგნო, რომ მასაც ჰქონდა გარკვეული წვლილი შეტანილი მსოფლიო კულტურის საგანძურში, რომ მისი ტკბილხმოვანი ქართული ენა იყო დიდი შოთა რუსთაველისა და იოანე პეტრიწის, საბა-სულხან ორბელიანისა და დავით გურამიშვილის ენა.

1889 წელს ილია სიხარულით შეხვდა ორი ახალი ნაწარმოების „მტარვალისა“ და „ქართვლის დედის“ გასცენიურებას, რომლებიც ნატო გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ წარმოადგინეს. ამ ნაწარმოებებს ისტორიული სიუჟეტი აქვთ, მაგრამ მათი დანახვა აწმყოსა და მომავლის თვალითაც შეიძლებაო, აღნიშნავდა ილია. თუმცა ამასთან ერთად მიუთითებდა „ქართვლის დედის“ ნაკლოვანებებსაც.

ილია ჭავჭავაძე აღტაცებით შეეგება დავით ერისთავის „სამშობლოს“ ქართული თეატრის სცენაზე. და ეს გასაკვირი როდია — მისი ოცნება ხომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო და სად შეიძლებოდა უკეთ დანახვა სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილისა, თუ არა დავით ერისთავის „სამშობლოში“! 1892 წელს ილიამ შესანიშნავი რეცენზია უძღვნა მსახიობ გამყრელიძის თამაშს სვიმონ ლეონიძის როლში. ილიას სძაგდა სცენაზე ყალბი პათეტიზმი და მანჭვა-გრეხა. იგი აღტაცებული იყო გამყრელიძის უბრალოებით, მისი სადა მორთულობით, დიდი არტისტული ნიჭითა და ტაქტით.

1886 წლის 6 მაისს საქართველოს დრამატული საზოგადოების გამგეობამ დიდი ამბით იდღესასწაულა გოგოლის კომედიის „რევიზორის“ პირველი დადგმიდან ორმოცდაათი წლისთავი. ილია სიხარულით შეხვდა ამ ფაქტს.

ილიამ თავის შესანიშნავ ნაწარმოებებში „ოთარაანთ ქვრივსა“ და „კაცია-ადამიანში“ მწვავე დრამატიზმით აღსავსე სცენები შექმნა და სიმართლის შოლტი შეუბრალებლად გადაუჭირა საზოგადოებრივი ცხოვრების იმ ლაქას, რომელსაც თავადაზნაურობა ერქვა. ამიტომ იყო, რომ ამ ნაწარმოებებმა ტრიუმფით იარეს ქართული თეატრის სცენაზე. „ოთარაანთ ქვრივის“ მადლი ხომ ქართულ ეკრანსაც მიესწვდა.

ილია ამოუწურავია როგორც ხელოვანი. ილია იყო ქართული ხელოვნება და თვით ქართული ხელოვნება იყო დიდი ილია. თუ გიორგი ერისთავმა ქართულ რეალისტურ თეატრს საძირკველი ჩაუყარა, დიდმა ილიამ მთელი სახახლე ააშენა მასზე.

გელან ჯაფარიძე

სახელოვანი 120

1849 წლის 14 იანვარს, დღევანდელი თბილისის პირველი საშუალო სკოლის შენობის საპატო დარბაზში ქართულმა პროფესიულმა თეატრალურმა დასმა მაყურებელს უჩვენა კომედია „გაყრა“. ეს იყო ქართული თეატრის განახლების დღე, ხოლო პიესის ავტორი გიორგი ერისთავი — თეატრის მსახიობიცა და დამაარსებელიც გახლდათ.

120 წელიწადმა განვლო მას შემდეგ. დღეს ქართული თეატრი სამართლიანად ამაყობს იმ კორიფეთა სახელით, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ჩვენს ეროვნულ თეატრალურ ხელოვნებას და მტკიცე ბურჯად ედგნენ ქართული თეატრის განმტკიცება-განვითარების საქმეს.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ თუ თავდაპირველად საქართველოში მხოლოდ სამი თეატრი არსებობდა, დღეს ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობს 25 პროფესიული დასი, 36 სახალხო თეატრი და მრავალი თვითმომქმედი და დრამატული კოლექტივი.

1914 წელს ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ გამოქვეყნებულ წერილში შალვა დადიანი აღნიშნავდა, ჩვენს თეატრებში 114 მსახიობი მუშაობსო. დღეს საქართველოში სამი ათასზე მეტი მსახიობია, მათ შორის 21 სსრ კავშირისა და 180-ზე მეტი რესპუბლიკის სახალხო არტისტია.


ქართული თეატრი განუხრელად იზრდება და ვითარდება. გავიხსენოთ თუნდაც შარშანდელი წარმატებები. რუსთავის, მარჯანიშვილის სახელობისა და მუსიკალური კომედიის თეატრებმა თავი ისახელეს მოსკოვში. დიდ წარმატებას მიაღწია ოპერის თეატრმა პოლონეთში, ხოლო რუსთაველის სახელობის თეატრმა რუმინეთში. ჩვენი კულტურის უდიდეს გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ქართული ხელოვნების დიკადა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

სულ ახლახან არსებობის 30 წლისთავი აღნიშნა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურმა ინსტიტუტმა. მისი აღზრდილი მსახიობები, რეჟისორები, თეატრმცოდნენი ჩვენი თეატრის, კინოს, პრესის პირითად ბირთვს შეადგენენ.

ყოველ ახალ თეატრალურ სეზონს ჩვენი თეატრები ახალი დადგმებით, ახალი წარმატებებით ეგებებიან. სამუშაო პორტფელში თითოეულ მათგანს აქვს ნაწარმოებები როგორც კლასიკური რეპერტუარიდან, ისე თანამედროვე მწერალთა ქმნილებანი.

სავსებით ბუნებრივია, რომ განახლებული ქართული თეატრის 120 წლისთავს მარტო ხელოვნების მოღვაწენი კი არა, მთელი ქართველი საზოგადოებრიობა აღნიშნავს. ახალი ქართული თეატრის ზეიმი მთელი ჩვენი კულტურის დღესასწაულია. ამ დღის აღნიშვნა ხომ ჩვენთან დიდ ეროვნულ ტრადიციად იქცა.

ასპარეზი გაეხსნება



რამდენიმე თვეა, რაც ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორად დაინიშნა ახალგაზრდა შემოქმედი გოგი ქავთარაძე.

ცხადია, მთავარი რეჟისორობა, ისიც საკურორტო და სანავსადგურო ქალაქში, სადაც უამრავი ხალხი ჩამოდის როგორც ჩვენი, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, საკმაოდ ძნელია. ხშირად სწორედ ბათუმის თეატრის წარმოდგენებით ექმნებათ მათ აზრი საქართველოს თეატრალურ ხელოვნებაზე.

გიორგი ქავთარაძე მაყურებელმა თავდაპირველად როგორც მსახიობი გაიცნო მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრების სცენაზე.

ნიჭიერ მსახიობს დიდი აღიარება მოუპოვა ბრწყინვალედ შექმნილმა სახეებმა ქართულ კინოფილმებში: „ქორწილი“, „მაცი ხვიტია“, „განგაში“. სულ ახლახან გამოვიდა ეკრანზე ფილმი „არ დაიდარდო“, რომელშიც გოგი ჩვეული ოსტატობით ასრულებს ლუკას როლს.

გოგი ქავთარაძე თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო განყოფილების დამთავრების შემდეგ რეჟისორად მოგვევლინა რუსთაველის თეატრში. წლევანდელი გაზაფხულიდან კი ბათუმის თეატრში მოღვაწეობს.

მისი მუშაობის პერიოდში თეატრმა უკვე სამი დადგმა განახორციელა და კიდევ სამ ახალ სპექტაკლს ამზადებს. ესენია: ვალერიან კანდელაკის „დრო — 24 საათი“, სულიკო ჟღენტის „დედის ფიქრები“ და ვანიონ დარასელის „კიკვიძე“. ამ უკანასკნელში იგი მთავარ როლს შეასრულებს.

თბილისის თეატრებში



თეატრალური ქრონიკა

● რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უწვენა „სამანიშვილის დედინაცვალი“, რომელიც ცნობილი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით დადგეს რეჟისორებმა თეიმურაზ ჩხეიძემ და რობერტ სტურუამ. სპექტაკლი მხატვრულად გააფორმეს მხატვრებმა მიხეილ ჭავჭავაძემ და აკაკი რამიშვილმა.

ბეკინა სამანიშვილის როლს ასრულებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი სერგო ზაქარიაძე. პლატონი განასახიერა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა გიორგი გეგეჭკორმა, კირილე — რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა რამაზ ჩხიკვაძემ, მელანო — რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ელენე საყვარელიძემ, ელენე — რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ლეილა ძიგრაშვილმა.

* * *

● ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში გაიმართა „კურკას ქორწილის“ პრემიერა. პიესა დრამატურგმა მიხეილ თარხნიშვილმა დაწერა მიხეილ ჯავახიშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის თემაზე.


„კურკას ქორწილის“ მუსიკა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კომპოზიტორ გიორგი ცაბაძეს. სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა ბორის გამრეკელმა, ქორეოგრაფია საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ჯანო ბაგრატიონი.

როლებს ასრულებენ ბადრი ბეგალიშვილი, ნინელ კოდანოვა, ვახტანგ სალარიძე, შოთა ბაჟალია, ევგენია გურაშვილი, იზა ბოჭოიძე, თეიმურაზ ხელაშვილი და სხვები.

* * *

● გუშინ, 22 იანვარს, თბილისში გასტროლები დაიწყო რუსთავის დრამატულმა თეატრმა. გასტროლების დღეებში რუსთაველები წარმოადგენენ დადგმებს: ალექსანდრე ჩხაიძის „ხიდს“, როსტანის „სირანო დე ბერჟერაკს“, კოროსტელევის „ასი წლის შემდეგ“, სკოვორონკის „მაესტროს“, გორკის „ფსკერზე“, ედუარდო დე ფილიპოს „კომედიის ხელოვნებას“, შვარცის „ჩრდილს“.

გასტროლები 3 თებერვლამდე გასტანს.



„შენ ხარ მარადიული, განუყრელი და ერთგული წვრი და მსახური შენი მშობელ საქართველოსი“ — ეს სიტყვები ეკუთვნის ღვაწლმოსილ ქართველ კლასიკოსს მიხეილ ჯავახიშვილს, ადამიანს, რომელიც მართლაც რომ ერთგულად და უანგაროდ ემსახურა მშობელ საქართველოს კულტურის განვითარებას და თავისი შემოქმედებით გააძლიერა ერის კულტურული საგანძური. ამის ნათელი დადასტურებაა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ ახლახან გამოცემული მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებათა რვატომეულის პირველი ტომი. ჩვენმა კორესპონდენტმა ნადია მეგაღიშვილმა რამდენიმე კითხვით მიმართა პირველი ტომის რედაქტორს გურამ გვერდწითელს.

ერთგული მსახური მშობელ საქართველოსი

● რა როლი განეკუთვნება მიხეილ ჯავახიშვილს ქართულ ლიტერატურაში?

მიხეილ ჯავახიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ქართველ მწერლებს შორის, რომელმაც უახლეს ლიტერატურაში ღრმად გაუკვალა გზა ნოველას, სოციალური და ფსიქოლოგიურ რომანს. მიხეილ ჯავახიშვილი მე-20 საუკუნის ქართველ მწერალთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც ახალ ისტორიულ პირობებში გააგრძელა, დიდებულად განავითარა ქართული კრიტიკული რეალიზმის ტრადიციები და ამ ტრადიციებთან მჭიდროდ დააკავშირა ქართული საბჭოთა ლიტერატურის სათავეები. მწერლის შემოქმედება ის საფუძველია, ურომლისოდაც ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის შემდგომი განვითარება.

● რამ განაპირობა მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებათა რვატომეულის გამოცემა?

უპირველეს ყოვლისა იმან, რომ მიხეილ ჯავახიშვილი, მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის კლასიკოსი, უაღრესად პოპულარული მწერალია და ათიოდე წლის წინათ დასტამბული მისი თხზულებათა ექვსტომეული გამოცემისთანავე დაიტაცა მკითხველმა. ჩვენ მოვალედ ჩავთვალეთ თავი დაგვეკმაყოფილებინა მკითხველის მოთხოვნილება და მწერლის თხზულებათა ახალ გამოცემაზე გვეზრუნა. ამის გარდა, და ეს არანაკლებ მნიშვნელოვანი რამ გახლავთ, აუცილებელი იყო მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებათა სრული კრებულის მიწოდება მკითხველისათვის. აი ამ მიზანსაც ისახავს ახალი გამოცემა რვა ტომად, რომელიც მოამზადა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა, დასტამბვა კი იტვირთა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“. თითოეული ტომი ეღირება მანეთნახევრიდან ორ მანეთამდე.

● რითი განსხვავდება ეს გამოცემა ადრინდელი გამოცემებისაგან?

გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა ირაკლი აბაშიძემ, სერგი ჭილაიამ და გიორგი ნატროშვილმა დიდი მამულიშვილური საქმე გააკეთეს, როცა თავი მოუყარეს მიხეილ ჯავახიშვილის ცალკე გამოცემულ თხზულებებს და სამოციანი წლების მიჯნაზე ექვსტომეულის სახით მიაწოდეს მკითხველს. მაგრამ რვატომეულის ეს გამოცემა ყველაზე სრულია მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებათა დღემდე დაბეჭდილ სხვა კრებულებთან შედარებით და იგი უახლოვდება აკადემიური გამოცემის ტიპს. მკითხველი პირველად გაეცნობა მწერლის გამოუქვეყნებელ მოთხრობებს („შემოდგომის ღამე“, „ხავერდის კაბა“, „ტეტიები“, „წითელი ჯავშანი“, „რკინის საცერი“ და სხვა) და დრამატულ თხზულებებს („შერცხვენილნი“, „ბაზარი“, „ოჯახი“). მწერლის მხატვრული ნაწარმოებები დაიბეჭდება პირველ ხუთ ტომში. მომდევნო ორი ტომი ეთმობა მიხეილ ჯავახიშვილის მდიდარ და მრავალფეროვან პუბლიცისტურ წერილებს, რომელთაგან უმრავლესობა დღემდე უცნობი იყო მკითხველისათვის, მერვე ტომში წარმოდგენილი იქნება მწერლის არქივი. ამის გარდა, დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ შეიძინონ დამატებითი ტომი, სადაც დაიბეჭდება მწერლის მხატვრულ ნაწარმოებთა ვარიანტული სხვაობები. რვატომეულის ერთ მთავარ ღირსებას ისიც შეადგენს, რომ აქ გათვალისწინებულია ავტორის ნება-სურვილი და ნაწარმოებები მწერლის სიცოცხლეში უკანასკნელი გამოცემების მიხედვით ან კიდევ ხელნაწერებთან შეკერებით იბეჭდება.

● ვინ და როგორ მოგაწოდათ გამოუქვეყნებელი მასალები?

ამ საქმეში ფასდაუდებელი ამაგი მიუძღვის მწერლის ქალიშვილს ქეთევან ჯავახიშვილს არ შეიძლება დიდი მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, განსაკუთრებით კი ამ ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების თანამშრომლები (ხელმძღვანელი სოლომონ ყუბანეიშვილი), რომლებმაც თავდადებით, სიყვარულით, ცოდნით მოიძიეს ყველა არქივი თუ პერიოდული გამოცემა იმისათვის, რათა მიეკვლიათ ახალი მასალებისათვის და შეძლებისდაგვარად სრულყოფილად მოემზადებინათ ეს გამოცემა.

● ვინ არიან გამოცემის რედაქტორები?

რვატომეულის გამოცემას ხელმძღვანელობს მთავარი სარედაქციო კოლეგია. კოლეგიაში შედიან ცნობილი მწერლები და მკვლევარები: ბესარიონ ჟღენტი, ვახტანგ ჭელიძე, პროფესორი შალვა რადიანი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორები სოლომონ ყუბანეიშვილი და გიორგი მერკვილაძე. მწერლის ქალიშვილი ქეთევან ჯავახიშვილი და მე. მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრები ამასთანავე არიან ცალკეული ტომების რედაქტორები.

● ამჟამად რა ეტაპზეა რვატომეულის მომზადება?

ინსტიტუტმა რვა ძირითადი ტომი და მეცხრე დამატებითიც უკვე მოამზადა გამოსაცემად. მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ პირველი ხუთი ტომი გადასცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დასაბეჭდად. დანარჩენ ტომებზე განაგრძობს სარედაქციო მუშაობას და 1970 წელს მათაც ჩააბარებს.

● როდის დასრულდება გამოცემა?

პირველი ტომი უკვე 1969 წლის დამლევს მიიღო მკითხველმა. მომდევნო ორი ტომი 1970 წელს დაიბეჭდება. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ განზრახული აქვს 1973 წლისათვის დაასრულოს რვატომეულის დასტამბვა.

● რა ენებზეა გამოცემული მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებები?

სამწუხაროდ, მიხეილ ჯავახიშვილის ტრაგიკული ბედის გამო, მისი თხზულებები ნაკლებად იყო ცნობილი არაქართველი მკითხველისათვის. უკანასკნელ ათწლეულში საბჭოთა მთავრობისა და საკავშირო მწერალთა კავშირის შემწეობით ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, ქართველი ერის სულიერი კულტურის ეს კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი, ცნობილი გამხდარიყო მრავალეროვანი საბჭოთა და საზღვარგარეთელი მკითხველისათვის. ადრე, 30-იან წლებში მწერლის მხოლოდ რამდენიმე მოთხრობა („მეჩეჩმე გაბო“, „მართალი აბდულაჰ“ და სხვა) ითარგმნა ფრანგულად. უკანასკნელ ხანს ითარგმნა და დაიბეჭდა რუსულად თითქმის ყველა ნაწარმოები მწერლისა, ხოლო გამომცემლობა „მერანი“ ახლა ამთავრებს მწერლის თხზულებათა ხუთტომეულის გამოცემას რუსულად. ცალკეული ნაწარმოებები უკვე გამოიცა უცხო ენებზე („გივი შადური“ — გერმანულად, „თეთრი საყელო“ — ჩეხურად). მაგრამ რა თქმა უნდა, მიხეილ ჯავახიშვილის სახელის გატანა ევროპისა და მსოფლიო ასპარეზზე, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ახლა იწყება და დარწმუნებული ვართ, უცხოელი მკითხველები ინტერესით გაეცნობიან ამ შესანიშნავი ქართველი მწერლის ნაწარმოებებს.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს აცნობებს, რომ სურვილისამებრ უსასყიდლოდ შეუძლიათ მიიღონ მიხეილ ჯავახიშვილის რვატომეული, თუ ამის თაობაზე გამოგვიგზავნიან წერილობით მოთხოვნას შემდეგი მისამართით:

თბილისი, გიორგი ათონელის ქუჩა № 25. უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმი.





სურათებზე: ვაჟა-ფშაველას პროსპექტი.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.

გასეირნება...

ვალერიან გენგიურის ფოტო.

მსოფლიო ლიტერატურის სარბიელზე

ჩვენი ლიტერატურა სულ უფრო ფართოდ გადის მსოფლიოს ლიტერატურულ გზებზე და მრავალ მკითხველსა და დამფასებელს იძენს.

ქართული ლიტერატურის უცხოურად თარგმნისა და გამოცემის თაობაზე „სამშობლოს“ კორესპონდენტი ესაუბრა შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ქართულ— საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელს დავით ლაშქარაძეს.

● როდის შეიქმნა ეს განყოფილება და რა ამოცანებს ისახავს მიზნად?

განყოფილება ახლახან შეიქმნა. მისი მიზანია შეისწავლოს ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობანი, ნათელყოს, თუ როგორ ეხმაურებიან ქართული საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის განვითარებას საზღვარგარეთ, რა გამოძახილს პოულობს საზღვარგარეთული ლიტერატურა ჩვენში.

● ქართველ კლასიკოსთაგან ვის იცნობენ უცხოეთში?

— ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავიხსენოთ, რა დიდი მუშაობაა გაწეული საქართველოს მწერალთა კავშირისა და ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ წლების განმავლობაში. მათი მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობის ნიადაგზე სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყნის პოეტებმა და მწერლებმა თარგმნეს შოთა რუსთაველი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანისა და გიორგი ლეონიძის ცალკეული ნაწარმოებები.

● თანამედროვე ქართველ ავტორთა რომელი ქმნილებანი იმსახურებენ უცხოელი მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას?

— ფრანგმა მკითხველმა ინტერესით მიიღო კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, დემნა შენგელაიას „განძი“, სერგო კლდიაშვილის — მოთხრობების კრებული „შემოდგომის წვიმა“.

უცხოურ ენებზე ითარგმნა და მკითხველთა მოწონება დაიმსახურა ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეების, კარლო კალაძისა და ალიო მაშაშვილის, ოთარ ჭილაძისა და ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებმა.

● უცხოელ მწერალთაგან ვინ მუშაობს ქართული ლიტერატურის თარგმნაზე?

— ასეთი ბევრია, მათ შორის აღსანიშნავია ავსტრიელი ჰუგო ჰუპერტი და გერმანელი გერტრუდ პეჩი, უნგრელი შანდორ ვერეში, ინგლისელი დევიდ ლანგი... ქართული ლიტერატურისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ფრანგები რენე დომეკი, ჟორჟ არუ, რობერ ფილიპონი, ჟაკ გოშერონი, პიერ გამარა და სხვები.

მთარგმნელები ჩვენი ხშირი სტუმრები არიან. საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ მოიწვია ავსტრიელი პოეტი ჰუგო ჰუპერტი და გერმანელი პოეტი რაინერ კირში. პირველი თარგმნის შოთა რუსთაველს, ხოლო მეორე ნიკოლოზ ბარათაშვილს. გერმანელმა პოეტმა ჰერმან ბუდენზიგმა გაგვაცნო „ვეფხისტყაოსნის“ სანიმუშო ნაწყვეტი. თარგმანი საუცხოოდ არის შესრულებული, რაც იმის საწინდარია, რომ მკითხველს ხელთ ექნება რუსთაველის უკვდავი პოემის კარგი გერმანული თარგმანი. მალე გვეწვევა უნგრელი პოეტი შანდორ ვერეში.

● როგორ გესახებათ ამ დიდი და ეროვნული მნიშვნელობის საქმის მომავალი?

პირველ რიგში ყველა ცივილიზებული ერი აღიარებს ქართულ მწერლობას. უფრო შორს გავა ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონისა და ჩვენი სხვა სასიქადულო მწერლების სახელი, მწერლებისა, რომელთა შემოქმედება წმინდა ეროვნულ ჩარჩოებს შორდება და ზოგად საკაცობრიო პრობლემებს ესიტყვება.

პოეტური სტრიქონები



● ლია ჭავჭავაძე ქართულ პოეზიაში თავიდანვე შემოვიდა, როგორც ადამიანის რთულ შინაგან განცდათა და განწყობილებათა ამსახველი პოეტი. იგი სამყაროს როგორღაც კრძალვითა და მოწიწებით შესცქერის, და ეს კრძალვა მასში აღძრულია ჩვენი ქვეყნის მშვენიერებით — ბეთანიის სამოთხისებური მომხიბვლელობით, აყვავებული ნუშის სილამაზითა თუ თეთნულდის და უშბის სიდიადით.

ექოფერება

ისე ცოტა ვართ —
ქართველები,
ვით ვერცხლის ხეზე ოქროს ჩიტები.
ერთი — ამირანი და ერთიც — ნათელა,
არაბოროტები და არა ფლიდები.

გვაქვს ერთი მალამო გულის გამთელების —
ფერუმარილის და ძვლების დიდება,
თვალები ჩვენი ისე ნათელია,
როგორც არაგვის დინება.

ნეტავი, ვინ ვართ
ქართველები?
ერთი — ლელა და ერთიც — მინდია,
თითო ქართველი — თითო სანთელია,
თუკი საწუთრო ბინდია.

ნეტავი ვინ ვართ
ქართველები?
ერთი — შოთა და ერთიც — თამარი,
როგორც სვეტიცხოვ ლის ციცინათელები,
ისე ნათელი და თამამი.

ალბათ სხივები ვართ ნაზი გათენების,
ღრუბლები რომ ვერ ბინდავენ,
ისე ცოტა ვართ ჩვენ, ქართველები,
რომ ყველას მოფერება მინდა მე.

ნეტავი, ვინ ვართ ქართველები?

შუქი—ვიოლინო


როგორც ცისარტყელა დ, როგორც მზეწვია,
ერთხელ საოცარი მე შუქი მეწვია,
შუქი საოცარი მე ცისკენ მეწვევა.

ეს სულ სხვა შუქია — შუქი იდუმალი,
უნაზეს სუნელების ფერადი სტუმარი,
შუქი მოცისფერო და შუქი მდუმარი.

და ისე ლივლივებს მაისის მოლივით,
ფერკრთომილი ცრემლები სხივით რომ მოლიოს,
ეს სულ სხვა შუქია — სხვა ზღვათა ბორიო,
ეს სულ სხვა შუქია — შუქი — ვიოლინო.

ამოდის მზესავით და როცა ბინდდება,
სიმაღლეს, სიმაღლეს ჩურჩულით მპირდება.

მე იგი მეძახის და ცისკენ მეწევა.
მე იგი მეძახის და ერთხელ მეწვია,
როგორც ცისარტყელა და როგორც მზეწვია,
ეს სულ სხვა შუქია —
შუქი — ვიოლინო...



შავი თვალები

სიმონ კილაძის ფოტოეტიუდი

ნუს სულიერ წინამძღვრად მიაჩნდა.

ერთხელ მალაქია კათალიკოსმა თავისი სამთავროს საქმეებზე ელჩი გაგზავნა სპარსეთის შაჰთან. უკან გამომგზავრებისას შაჰმა ელჩს ჰკითხა, ხომ არავინ ეგულებოდა დიდი გვარიშვილის ქალი, დედფლობის ღირსი, რომელიც მის შვილს — შაჰ-სეფის დაუმშვენებდა მხარს (შაჰ-სეფი შაჰ-აბას პირველისა და ქართლის მეფის ლუარსაბის დის— თინათინის შვილი იყო). ელჩმა უამბო უზომო სიმშვენიერე, გაზრდილობა და ყოველი ღირსება ელენესი... შაჰმა გაიხარა და ელჩისავე პირით შემოუთვალა მალაქია კათალიკოსს ელენეს გაგზავნა სპარსეთში.

ქალმა შორს დაიჭირა თავი. სწორედ ამ დროს თურქეთის სულთანს მოუვიდა ელენესა და სპარსეთის შაჰის ამბავი და დაუყოვნებლივ შემოუთვალა მალაქიას — ელენე ჩემი ქვეშევრდომია და ჩემთვის მინდა, საჩქაროდ გამოგზავნე, თორემ ჩემს რისხვას ვერ გადაურჩებითო. კათალიკოსი ორ ცეცხლში ჩავარდა. მოელაპარაკა სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს, იმანაც ურჩია, ელენე ჩემთან გამოგზავნე, სულთანს კი უარი შეუთვალეო.

ლევან დადიანს, პოლიტიკური მოსაზრებით, განზრახული ჰქონდა ათაბაგის ქალი სპარსეთის მბრძანებლის — შაჰ-აბას პირველის შვილისათვის მიეცა. ეს მისი მდგომარეობის გაუმჯობესებასაც მოასწავებდა.

და აი ლევან დადიანთან ელენე ათაბაგის ხელის სათხოვნელად სპარსელთა მოციქულები მოვიდნენ. ლევანმა თანხმობა განაცხადა ქალის სპარსეთში გაგზავნაზე.

ელენე მუხლმოდრეკით ეყვედრა დადიანს, არ გაეგზავნა იგი უცხო

ქართველი ქალი
— სპარსეთის დედოფალი

როსტომს (იგი XVI საუკუნის ბოლოს ფაშად იწოდება და არა ათაბაგად) არ უნდოდა თავისი ერთადერთი ქალი — ელენე თურქეთის სულთნის ჰარამხანაში მოხვედრილიყო. ამიტომ 14 წლის გოგონას აღზრდა ცოლის ძმას, მალაქია კათალიკოსს მიანდო. როგორც მიხვიდა თამარაშვილი წერს, როსტომს მაჰმადიანობა მხოლოდ იმიტომ მიუღია, რომ მთავრობა არ ჩამორთმეოდა. გულში კი განიცდიდა სარწმუნოების ღალატს. თავისი ქალიშვილი განარიდა ასეთსავე ბედს და მალაქია კათალიკოსს გაუგზავნა.

მალაქია კათალიკოსმა ელენე შვილივით გაზარდა. ქალმა სახელი გაითქვა სილამაზით, აღზრდით, განათლებით, დაუახლოვდა მისიონერებს, რომლებიც მალაქია კათალიკოსთან ცხოვრობდნენ. ელენეს აღზრდაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ჭრისტეფორე კასტელს, იგი ელენეს ქვეყანაში, მაგრამ გული ვერ მოუგბო.

შაჰ-სეფიმ ელენე სიყვარულითა და დიდი პრწყინვალებით მიიღო, მაგრამ უცხო გარემოში მოხვედრილ დანაღვლიანებულ ათაბაგის ქალს აღარაფერი ახარებდა.

ელენესა და შაჰ-სეფის ბრწყინვალე ქორწილი გადაუხადეს. ქალი ძალაუნებურად თავის ბედს დავმორჩილა.

როცა 1629 წელს შაჰ-აბასი გარდაიცვალა, ტახტზე დაჯდა ელენეს შვილი, ქართველი ქალის — თინათინისაგან ნაშობი შაჰ-სეფი. ელენე კი სპარსეთის დედოფალი გახდა.

შაჰ-სეფის სიკვდილის შემდეგ სპარსეთის დაქვრივებული დედოფალი ელენე დაბრუნდა საქართველოში. მის შემდგომ ცხოვრებაზე ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.

დავით ქორიძე

● მოკლედ

...სადაც ქალი მღერის

საინტერესო ლექსების კრებული მიიღო ამას წინათ რუსმა მკითხველმა. მოსკოვში გამომცემლობა „დეტსკაია ლიტერატურამ“ გამოუშვა საბჭოთა კავშირის პოეტი ქალების რჩეულ ლექსთა კრებული, რომელსაც ეწოდება „სიმღერა, ოცნება და სიყვარული“.

ეს კრებული ჩვენი მკითხველისათვის იმით არის საინტერესო, რომ მასში დაბეჭდილია ქართველი პოეტი ქალების მარიჯანის, ანა კალანდაძისა და მედეა კახიძის ლექსები. აქვეა ამ სამი პოეტის პორტრეტები და შემოქმედებითი ბიოგრაფიები. კრებულს დართული აქვს წინათქმა: „კარგია ის ქვეყანა, სადაც ქალი მღერის“.

ეკატერინე ჭავჭავაძე

ცნობილი ქართველი მწერლის სერგი ჭილაიას ისტორიული რომანი „ეკატერინე ჭავჭავაძე“ კარგა ხანია მიიღო ქართველმა მკითხველმა.

ამჟამად ეს წიგნი რუსულ ენაზე გამოვიდა. იგი გამოსცა „სოვეტსკი პისატელმა“ მოსკოვში. თარგმანი ეკუთვნით ფეიგინსა და გასს. წიგნი ლამაზად არის გაფორმებული.

● მოკლედ

საინტერესო გამოკვლევა

ისტორიული მასალებისა და წყაროების მიმოხილვა

ქართული და ევროპული მრავალხმიანობის მიმართების საკითხები

ელენე ყერეთელი

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში, აგრეთვე საქართველოში, იშვიათი ხელნაწერებია შემორჩენილი. V-VIII საუკუნეების ქართული ლიტერატურული წყაროებიდან აღსანიშნავია შუშანიკის მარტვილობა, სადაც დასახელებულია ფსალმუნები, როგორც ნათარგმნი ძეგლი, მოხსენებულია საკრავი „ჭნარი“ და აბოს მარტვილობა, რომლის IV თავიც ითვლება ქართული ჰიმნოგრაფიის პირველ ეროვნულ ძეგლად. რაც შეეხება მუსიკალურ წყაროებს, ევროპის მრავალ ქვეყანაში მათი ნამთი არსად ჩანს. აქ ძველი ხალხური სიმღერები იმდენად გარდაქმნილა, რომ დღეს წარსულის დამახასიათებელი ჰანგები თითქმის აღარა გვხვდება.

ამ მხრივ უმთავრესად სამი ქვეყანაა გამონაკლისი: შოტლანდია, ირლანდია და ესპანეთი.

ცნობილია, რომ საეკლესიო ლიტურგია და გალობა ახლო აღმოსავლეთიდან შემოვიდა დასავლეთში.

ფსალმუნი, ანტიფონი, ჰიმნი, თავისებური ფორმულითა და მეტრიკით ვრცელდება დასავლეთ ევროპის ეკლესიებში — ეს მოვლენა დამტკიცებულია და გამორკვეულია მომდევნო ხანის ხელნაწერების მიხედვით, საქართველოს სინამდვილეში თხზულებაში „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი“ აღნიშნულია, რომ „ყოვლით კრებულითურთ ფსალმუნთა სულიერითა... აღვიხუნეთ პატიოსანნი ძუალნი და გამოვიხუნეთ წმიდასა მას ეკლესიასა“, ასევე იხმარებოდა ამ პერიოდში „ანტიფონი“ და „ჰიმნი“.

რაც შეეხება მთავარი კულტურის ცენტრებში ქრისტიანული ეკლესიის მოღვაწეების ამაგს, მათ დიდი ყურადღებით შეეთვისებს და გაავრცელეს ახლოაღმოსავლური ნიმუშები მუსიკისა და ლიტურგიისა.

ჰილერი (303-367), ქალაქ პუატიეს ეპისკოპოსი, ოთხ წელიწადს მოღვაწეობდა აღმოსავლეთში და დაწერა საკულტო ჰიმნები.

ცნობილმა ამბროსიმ (304-397) მილანში შემოიღო აღმოსავლური ფსალმუნები და სირიულ-ბიზანტიური ფორმის ჰიმნები. მის მიერ განვითარებული ანტიფონი შერჩა მილანს, როგორც დამახასიათებელი და განსაკუთრებული ნიმუში რომაული ეკლესიისა.

ჰიმნების ვერსიფიკაცია იყო იამბიკური დიმეტრი, იამბიკური საზომების გამოყენება ცნობილი იყო X საუკუნის ქართულ საგალობლებში. ამ ლექსით გაწყობილი საგალობელი ძირითადი სახე იყო ქართული კანონიკური გალობისა. საქართველოში ეს ფორმა-ზომა ბიზანტიურიდან შემოვიდა. ბიზანტიური მუსიკის გავლენა დასავლეთ ევროპაში ძალზე მნიშვნელოვანია. თვით პაპმა გრიგოლმა, რომელიც თითქმის ათ წელიწადს ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში, რომში დაბრუნებისას სცადა წაებაძა ბერძნული ჰიმნებისათვის, რისთვისაც მას საყვედური შეჰკადრეს.

წარმოშობით სირიელმა პაპმა სერგიმ (687-701) რომაულ ლიტურგიაში ფსალმოდია შეიტანა.

თეორეტიკოსები ფსელლორსი (1050), ანანიმები და პახიმერი (1242) იოანე დამასკელის მომხრენი ხდებიან.

უფრო მოგვიანო პერიოდში, ფრ. გევარტი აცხადებს, რომ ევროპული მუსიკა, ლათინური ჰიმნები და ანტიფონები წარმოიშვა ძველი საბერძნეთიდან, ე. ი. კითარისტებიდან (დორიულ-ჰიპოდორიულ-ეოლიური) მათი კილოები, ანუ ხმები გადაყვანილია ეკლესიურ ხმებზე I-II III-IV.

ანტუან დემევრენ I-ის მოსაზრება, რომლის თეორიაც გრიგოლის ქორალების რითმიკაზე ყველამ ვერ გაიზიარა (იგი ამბობს, დასაწყისში ქორალების ინტერპრეტაცია რითმული უნდა ყოფილიყო და ძველ მეტრიკას ემყარებოდაო), კატეგორიულად უპირისპირდება ფრ. გევარტის აზრს და ამტკიცებს ლათინური ეკლესიური ხმების წარმოშობას ოქტოეხოსისაგან. საქართველოში ხმების შემოტანის პროცესი ოდნავ მოგვიანებით IX საუკუნიდან მკვიდრდება და იგი ემყარება იოანე დამასკელის „რვა ხმის“ თეორიას.

VIII საუკუნეში, რიდესაც რომის ზეგავლენით დასავლეთ ევროპაში განვითარდა ლათინური კაპელები, პირველი მოღვაწე — იმპერატორი შარლემანის მიერ მოწვეული მუსიკის თეორეტიკოსი აღკუინი ჩადის ინგლისიდან საფრანგეთში. ქალაქ ტურში. მის ნაწერებში მოჩანს ძველი ბერძნული და რომაული მეტრიკის პრიმატი ძველ ევროპულ ტრადიციებთან შედარებით და აგრეთვე საეკლესიო წყობები: ოთხი ავთენტური, ოთხი პლაგალური, ანალოგიურად ბიზანტიური და ქართული ოქტოეხოსისა.

ამავე პერიოდში შეიქმნა გალიკანური სარწმუნოებრივი წესის ცენტრი ქალაქ მილანში.

რომის ლიტურგიასთან შედარებით გალიკანურში მეტი ბრწყინვალება და ცერემონიული მიმართება იყო, ვიდრე ეს ხდებოდა წინა პერიოდის ლიტურგიაში. აქ სიმღერა-გალობა უფრო დიდ როლს ასრულებდა, ვიდრე ლათინურში, წინარე პერიოდის ღვთისმსახურები-

● ფარიკაობა

ქართველი დ'არტანიანი

ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის სპორტული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ხშირად ნახავდით წარმოსადეგი სპორტსმენის სურათს, რომელსაც ხელში საფარიკაო იარაღი — დაშნა ეჭირა. მართლაც, ამ ათიოდე წლის წინათ რევაზ ცირეკიძეს კარგად იცნობდა არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიოს საფარიკაო სამყაროც.

მარტო ის რად ღირს, რომ რევაზ ცირეკიძე პირველი საბჭოთა დაშნით მოფარიკავე გახლდათ, რომელიც მსოფლიო პირველობის ფინალში გავიდა.

ეს მოხდა პარიზში 1957 წლის ნოემბერში. რევაზ ცირეკიძემ მსოფლიოს რამდენიმე ცნობილი მოფარიკავე დაამარცხა და უძლიერესის სახელისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა. მაშინ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს იტალიელი მუიალი დაესაკუთრა. სპორტული ჟურნალისტებისათვის გამართულ პრეს-კოფერენციაზე სახელმოხვეჭილმა მუშკეტერმა რევაზ ცირეკიძის შესახებ თქვა: „ჩემთვის ერთგვარად მოულოდნელი იყო ქართველი მოფარიკავის რევაზ ცირეკიძის წარმატება. იგი ზედმიწევნით ნიჭიერი სპორტსმენია და, ვფიქრობ, უახლოეს წლებში მსოფლიოს ჩემპიონიც გახდება".

ახლა, რასაკვირველია, ვერავის გააკვირვებ დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების ფინალში გასვლით, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ იმ დროისათვის რევაზ ცირეკიძე გზის გამკვალავი გახდა საბჭოთა დაშნით მოფარიკავეთა მთელი პლეადისათვის. ამ გზას გაჰყვნენ შემდგომში ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები ბრუნო ხაბაროვი, გრიგოლ კრისი, ალექსანდრე ნიკანჩიკოვი, გურამ კოსტავა და სხვები.

ვისაც კი ერთხელ მაინც უნახავს რევაზ ცირეკიძის გამოსვლა საფარიკაო ბილიკზე, არასოდეს დავიწყდება მისი დახვეწილი ტექნიკა, გონებამახვილური ტაქტიკური აზროვნება, მტკიცე ნებისყოფა და, რაც მთავარია, დაუოკებელი ლტოლვა გამარჯვებისაკენ. ყოველივე ეს კარგად ახსოვს მოფარიკავეთა უფროს თაობას, ვისთვისაც რევაზ ცირეკიძის საფარიკაო ხელოვნება თავისებურ მაგალითსა და ნიმუშს წარმოადგენდა. რევაზის საყვარელი იღეთები და უნაკლო ოსტატობა დღესაც ნიმუშად გამოადგებოდა ყრველ ახალგაზრდა მოფარიკავეს. ასე გაუბღო ჭემმარიტმა სპორტულმა ხელოვნებამ ფარიკაობის ყველა ჭირვეულ „მოდას".

ჩვენი სიტყვები ლიტონ განცხადებად რომ არ დარჩეს, გაგახსენებთ ერთ ძალზე საინტერესო ბრძოლას, რომლის გმირები იყვნენ საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონი, ვილნიუსელი იოზას უდრასი და თბილისელი რევაზ ცირეკიძე. იმ დროისათვის ქართველი სპორტსმენი საერთაშორისო აღიარებით სარგებლობდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის პირველობებში მხოლოდ საპრიზო ადგილებს სჯერდებოდა, ჩემპიონი კი ვერა და ვერ გახდა.

ამ გადამწყვეტ შეხვედრამდე მეტოქეებმა დაძაბულ ბრძოლებში ზედიზედ ჩამოიშორეს უძლიერესი მეტოქეები. მათს საბოლოო შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა ჩემპიონობის ბედი. სპეციალისტების აზრით, მოწინააღმდეგეთა სპორტული ოსტატობა თანაბარი იყო. საბოლოო სიტყვა მათი ნებისყოფის სიმტკიცესა და მიზანსწრაფვას უნდა ეთქვა.

სადემონსტრაციო დაფა აჩვენებს ანგარიშს — 4:4. ხხოლოდ ერთადერთი ჩხვლეტა აშორებს სპორტსმენებს ჩემპიონის ოქროს მედლისაგან. სულ რამდენიმე წამია საკმარისი ამ ჩხვლეტის მისაყენებლად, მაგრამ აბა ჰკითხეთ ცნობილ სპორტსმენებს, რამდენი წელიწადი მოანდომეს ამ გადამწყვეტი ჩხვლეტის ხელოვნების დაუფლებას. ვინ იცის...

კაზი ასათიანი — საბჭოთა გუნდის ელემენტი

ასე წერდნენ თურქეთის გაზეთები

სპორტი

როგორც სტამბოლში დამებედა

მაშ ასე, დიდმა ფეხბურთმა კიდევ ერთი მღელვარე დღე გადაიტანა. მეხიკოს „მარია ისაბელას" სასტუმროში 10 წლის გოგონას მონიკა მარიას მიერ ყუთიდან ამოღებულმა ნომრებმა გადაწყვიტა, თუ ფეხბურთში მეცხრე მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდები რომელ ჯგუფებში ითამაშებენ.

ახლა მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ჩემპიონატს „აცტეკის" სტადიონზე 31 მაისს გახსნიან მექსიკისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები.

31 მაისამდე კი არც ისე დიდი დროა. საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გავრილ კაჩალინმა 17 იანვარს მოსკოვში თავი მოუყარა ჩვენი ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელებს. თბილისიდან მეხიკოში გასამგზავრებლად ჯერჯერობით მიწვეულია ოთხი ფეხბურთელი, ჯერჯერობით იმიტომ ვამბობთ, რომ ოთხეულს: მურთაზ ხურცილავას, რევაზ ძოძუაშვილს, კახი ასათიანსა და გივი ნოდიას, შესაძლებელია დაემატონ, როგორც ამას თვით ნაკრების მწვრთნელები ვარაუდობენ, სლავა მეტრეველი და ქუთაისელი ფეხბურთელი ჯემალ ხერხაძე.

მოსკოვში გამგზავრების წინ ჩვენი კორესპონდენტი რევაზ მაჭავარიანი შეხვდა კახი ასათიანს და სთხოვა რამდენსამე კითხვაზე გაეცა პასუხი.

● კმაყოფილი ხართ თუ არა წილისყრით?

როგორ გითხრათ, პირადად მე ყოველთვის ძლიერ მეტოქესთან თამაში მიტაცებს. უკეთესი იქნებოდა ჩვენს ქვეჯგუფში ყოფილიყო ინგლისის ან ბრაზილიის გუნდი.

გთხოვთ სწორად გამიგოთ, ასეთ გუნდებთან თამაში სწორედ მაშინ არის კარგი, როდესაც ერთი წაგებით ყველაფერი არ იკარგება. ნახევარფინალსა და ფინალში კი როდესაც ნერვული დაძაბვა კულმინაციურ წერტილს აღწევს, ლამაზი თამაშის ჩვენება მეტად ძნელია.

● როგორ აფასებთ შარშან თქვენს მიერ ჩატარებულ მატჩებს როგორც თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში, ისე სსრ კავშირის ნაკრებში?

ვფიქრობ, „დინამოს" შემადგენლობაში ყველა მატჩის ერთნაირი სიძლიერით ჩატარება ვერ შევძელი. რაც შეეხება სსრ კავშირის ნაკრებში ჩემს თამაშს, მახარებს, რომ სპეციალისტებისა და სპორტულ მიმომხილველთა მოწონება დავიმსახურე.

● თქვენ განსაკუთრებით გაქებდნენ სტამბოლის მატჩის შემდეგ.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო თურქ ჟურნალისტებს ჩემი თამაშის ასეთი შეფასებისათვის. საერთოდ კი უნდა მოგახსენოთ, სტამბოლის მატჩი, ალბათ, არასოდეს ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან. მასპინძელთა ვაჟკაცურმა, მაგრამ მეტად კორექტურმა თამაშმა, შეხანშიხვამ მინდორმა და მაყურებელმა, რომელიც მზად იყო მოწინააღმდეგის ყველა ლამაზი ფინტისათვის ტაში დაეკრა, განაპირობა ის, რომ ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ვითამაშე.

● ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა რამსეიმ თქვენ დიდი მომავალი გიწინასწარმეტყველათ.

ვეცდები გავუმართლო იმედები მსოფლიოს ჩემპიონთა აღმზრდელს.

● იმ უცხოელი ფეხბურთელებისაგან, რომლებსაც შარშან მინდორზე შეხვდით, ვის გამოჰყოფდით?

თურქ დამცველ ერგიუნს.

● თქვენთვის რომ დაევალებინათ სსრ კავშირის ნაკრების შედგენა, როგორ გუნდს წაიყვანდით მექსიკაში სათამაშოდ?

იმავე გუნდს, რომელმაც თურქეთში ითამაშა, მხოლოდ მარჯვენა გარემარბის ადგილს სლავა მეტრეველს დავუთმობდი.

● როგორ გგონიათ, ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი?

პირველი სამი ადგილი ბრაზილიასა, ინგლისსა და სსრ კავშირს შორის უნდა განაწილდეს.

● როგორია თქვენი მომავლის გეგმები?

გეგმებს მწვრთნელები სახავენ, მე კი სურვილი მაქვს — 1970 წელს მსოფლიოს ჩემპიონი თუ არა, სსრ კავშირის ჩემპიონი მაინც გავხდე.

და კიდევ ერთი. რაც შეიძლება ხშირად ვითამაშო ისე, თურქეთში დაბედებულ მატჩს რომ შეეცადოს.

ნახევარი საათი დასჭირდათ მოფარიკავეებს მეხუთე ჩხვლეტისათვის. ნახევარი საათი... ეს იშვიათი შემთხვევაა მოფარიკავეთა შეჯიბრებებში. ამ ნახევარ საათის მანძილზე რევაზ ცირეკიძემ გამოავლინა დიდი სპორტსმენისათვის დამახასიათებელი ყველა თვისება და რაინდულ ორთაბრძოლაში გატეხა დაუმარცხებელი იოზას უდრასის მედგარი წინააღმდეგობა.

ეს იყო, მართლაც, ბრწყინვალე გამარჯვება, ორმაგად სასიხარულო, რადგანაც რევაზ ცირეკიძემ ქართველ მოფარიკავეთაგან პირველმა მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება.

ამბობენ, მოფარიკავეები სპორტული დღეგრძელობით გამოირჩევიანო. ეს ჭეშმარიტებაა, რადგანაც ფარიკაობის რთული ტექნიკისა და ტაქტიკის სრულყოფილად ათვისებას ათობით წელიწადი სჭირდება.

სპორტის მოყვარულთათვის კარგად არიან ცნობილი მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები უნგრელი მოფარიკავეები კარპატი და გერევიჩი. როცა ისინი ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონი გახდნენ, ორივე სპორტსმენი ორმოც წელს გადაცილებული იყო.

მით უფრო საყურადღებოა, რომ რევაზ ცირეკიძის



სპორტული ბიოგრაფია სულ რამდენსამე წელიწადს ითვლის. ჯანღონით აღსავსე, უაღრესად ნიჭიერმა და პერსპექტიულმა სპორტსმენმა ტრავმის გამო საფარიკაო ბილიკი ოცდაოთხი წლისამ დატოვა.

მიუხედავად ასეთი ხანმოკლე სპორტული გზისა, რევაზ ცირეკიძემ გარკვეული წვლილი შეიტანა არა მარტო ქართულ, არამედ საბჭოთა ფარიკაობის განვითარებაში.

არჩილ გოგელია

საკან განსხვავებით ხალხი მონაწილეობდა სიმღერების შესრულების დროს. ეს კი ადასტურებს ბიზანტიური ტრადიციების ძლიერ გავლენას. საკულტო-ლიტურგიული ცენტრი საქართველოში მრავალი იყო, ამ პერიოდიდან იწყება ქართველთა ცივილიზაციის კერების შენებლობა საზღვარგარეთ. საქართველოში, ისევე როგორც ბიზანტიაში, სიმღერა-გალობა მასობრივი ხასიათისა იყო და ამით განსხვავდებოდა ძველი ლათინური წესისაგან. ქართულ მასობრივ შესრულებას წარმართობაში დაეძებნება თავისი საფუძველი. მოიგონეთ სახალხო დღესასწაულები ალავერდობა, მცხეთობა, სადაც სიმღერასა და ცეკვაში ყველა მონაწილეობს.

გარდა საეკლესიო მუსიკისა, დასავლეთ ევროპაში პირველ საუკუნეებში შერჩენილია ძველი სიმღერები წარმართული ხანისა — განსაკუთრებით დრუიდებისა.

პაპა მარტელინი (295-304) აღნიშნავს, რომ „დრუიდები ქნარზე ტკბილად ამღერებენ ლექსებს და ხოტბით იხსენიებენ წარსულის გმირებსო", ისინი ბინადრობდნენ კელტებთან ბრეტანეთში, ინგლისსა და ირლანდიაში. ასევე იყო საქართველოშიც. წარმართულ ჰანგებზე შეიქმნა ქრისტიანული ტექსტები, წარმართულ საკულტო ადგილებზე აღიმართა ქრისტიანული ტაძრები. მაგალითად, ალავერდი, ჯვარი... ჩვენამდე წარმართულ ჰანგებზე შემოვიდა სიმღერები „წმინდა გიორგის" ციკლი, ნანები, „ჭონა", „ლაზარე", „ალილო", რომლებიც სწორედ IV-VII საუკუნების მიჯნით განისაზღვრებიან.

VI საუკუნეში დრუიდების სიმღერები გავრცელდა გერმანიაში. ვინმე იორნანდეს მოხვებით, რომელსაც გერმანელმა ხალხმა „ბარდი" უწოდა. მათს ჰანგებში ისეთივე ხსენება იყო გმირული წარსულისა, როგორც დრუიდებთან, რომლებიც მღეროდნენ ამგვარი ხასიათის სიმღერებს ლაშქრობის წინ.

არავითარი მუსიკალური წერილობითი წყარო არ არსებობს მათ წარსულზე, მაგრამ სავარაუდოა, რომ ერთგვარი ხალხური ლირიკული სიმღერა არსებობდა იმ დროსაც.

სამაგიეროდ, მრავალი მასალა ადასტურებს ეკლესიის უთანხმოებას და ბრძოლას ხალხური ტრადიციების წინააღმდეგ. ასევე იყო მოგვიანო ხანებში საქართველოშიც. მაგალითად, „ქართლის ცხოვრებაში" ლაპარაკია დავით აღმაშენებლის მიერ ხალხური თემატიკის სიმღერების შეზღუდვის შესახებ, ასეთივე ხასიათისაა ბასილი დიდის კანონი, რომელიც ამავე პერიოდში ითარგმნა ქართულად, და სხვა მრავალი ლიტერატურული ძეგლი.

ტომ პოტიე (1835-1923) წერს: „ვრიგოლის ქორალებში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგიერთ ანტიფონში და ზოგად სტროფებში ხალხური მელოდიების ხასიათი რელიეფურად ჩანს და ისიც დასაშვებია, რომ ეს მელოდიები ქრისტიანობამდეც არსებობდნენო." ცხადია, ქართულ საერო წარმოშობის საგალობლებში და უფრო კანონიკურ საგალობლებშიც ქართული ხალხური სიმღერის წყობა და ხმათა მიმართება არის ძირითადი და მისი სპეციფიკის განმსაზღვრელი.

პოლიფონია, ცხადია, წარმოიშობა კოლექტიური სიმღერებიდან. პირველ საუკუნეებში საბერძნეთსა და ლათინურ ქვეყნებში მასობრივი სიმღერა არ არსებულა, სავარაუდებელია მრავალხმიანობის განვითარება გალიკანურ და კელტურ საწესო სიმღერებში.

პირველი მითითება მრავალხმიანობის მარტივ ფორმებზე გვხვდება თეორეტიკოს მარტინე კაპელასთან (V საუკუნეში), რომელიც შენიშნავს „ბგერების შემთხვევით განრიგებას".

ისიდორე, ქალაქ სევილიის ეპისკოპოსი (565-657), თანაბგერობას უწოდებს „სიმფონიას" და უპირისპირებს დიაფონიას — ამგვარი ჰარმონიული წყობა მას მრავალხმიანობის სფეროში აქვს მოთავსებული. ეს უკვე კონკრეტული და საყურადღებო ფაქტია იმ დროისათვის.

დასავლეთ ევროპაში პროფესიულ საკულტო მუსიკაში მრავალხმიანობა IX საუკუნიდან ვითარდება.

საქართველოს სინამდვილეში მრავალხმიანობის პირველი ნიმუშები ფიქსირებულია X საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიულ ძეგლებში, ხოლო მისი თეორიული დასაბუთება მოცემული აქვს იოანე ჰიტრიწს პროკლე დიადოხოსის კომენტარებში.

ზოგ მუსიკისმცოდნეს სწამს, რომ შოტლანდიასა და სკანდინავიის ქვეყნებში უკვე ძველი დროიდანვე არსებობდა ორხმიანი სიმღერები.

ერთ ხელნაწერში მოთხრობილია ნორმანდიელი აზნაურის მოგზაურობა. 1147 წელს შოტლანდიაში მას მოუსმენია ორხმიანი სიმღერები. „აქ შეიძლება ვიფიქროთ, აღნიშნავს მაშაბე, რომ ტერციის ინტერვალები იყო გამოყენებული". ქალაქ უპსალაში არსებობს ხელნაწერი XIII საუკუნისა, რომელიც არის წმინდა მაგნუსზე დაწერილი ჰიმნი — ეს ჰიმნი ორ ხმად თითქმის თავიდან ბოლომდე ტერციებით იმღერება.

თავის მუსიკალურ კულტურას მრავალი მოღვაწე აკნობდა სხვადასხვა ერს, მაგალითად, ირლანდიაში ქრისტიანული სარწმუნეობა შეიჭრა III საუკუნიდან. ეს პატარა ერი დიდი ყურადღებით მისდევდა საეკლესიო კულტის განვითარებას. ლათინურ ნაწერებს ითვისებდა, თარგმნიდა და ავრცელებდა. IX საუკუნის მოღვაწე სკოტ ერიგენა სახელი გაითქვა მთელ ევროპაში როგორც ფილოსოფოსმა და თეოლოგმა, მაგრამ ჯერ კიდევ VI-VIII საუკუნეებში მრავალი ბერი მიეშურება ცენტრალური ევროპისაკენ და იქ მოღვაწეობს. ორმა მათგანმა — გალიუსმა და კოლომბომ დააარსა დღემდე ცნობილი ავრები „სენ გალი" (შვეიცარიაში) და „ლუქსეი" (საფრანგეთში).

ასევე იყო საქართველოში, მაგალითად, გიორგი მთაწმინდელმა ქართული მრავალხმიანობა გააცნო ბიზანტიის სამეფო კარს. მან ჩამოაყალიბა 80 ობოლისაგან შემდგარი გუნდი და კონსტანტინოპოლში აგალობა კეისრის წინაშე, ასევე უწევდნენ პროპაგანდას ქართულ ჰიმნოგრაფიასა და მუსიკას სხვა მოღვაწეებიც.

საყურადღებოა ირლანდიისა და საქართველოს ანალოგიური მოღვაწეობა საშუალო საუკუნეებში — ჩვენს მომავალ მიზანს წარმოადგენს ამ ორი შორეული კულტურის შეპირისპირება და საერთო მოვლენების გაშუქება.

Ի՞նչ կարդալ ամառային արձակուրդներին

Ամառային արձակուրդները ընթերցանության համար հարմար ժամանակ են։ Ստորև ներկայացնում ենք մի քանի գրքեր, որոնք կարող են հետաքրքրել ընթերցողներին։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր առաջին։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր երկրորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր երրորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր չորրորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր հինգերորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր վեցերորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր յոթերորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր ութերորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր իններորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր տասներորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր տասնմեկերորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր տասներկուերորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր տասներեքերորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր տասնչորսերորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր տասնհինգերորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր տասնվեցերորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր տասնյոթերորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր տասնութերորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր տասնիններորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր քսաներորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր քսանմեկերորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր քսաներկուերորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր քսանհինգերորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր քսանվեցերորդ։ Վենետիկ, Մխիթարյան տպարան, 1901։ 8°, 512 էջ։ Գին 3 ռուբլի։

Ա. Ալիշան, «Հայրենիք»։ Հատոր քսանյոթեր